საქართველოს პარლამენტის საკონკურსო კომისიას

საინჟინრო-საპროექტო მომსახურების (71300000 - საინჟინრო მომსახურებები) კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2013 წლის 3 ივნისს გამოცხადებული №799 კონკურსის შედეგების განხილვის 2013 წლის 14 ივნისის საკონკურსო კომისიის №2 სხდომის ოქმით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები შესწავლის, საკონკურსო განცხადების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის და შესაბამისი დასკვნის მომზადების მიზნით გადაეცა საქართველოს პარლამენტის აპარატის სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის განყოფილებას.

ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი"-სა და შპს „ქართულ-გერმანული ექსპერტიზის ბიურო"-ს ერთობლივად და შპს „სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგი"-ს მიერ შემოთავაზებული საკონკურსო წინადადები. შემოთავაზებული საკონკურსო წინადადებების ძირითადი ნაწილი აკმაყოფილებს მათი შეფასებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, კერძოდ, მოცემულია წინადადებების ღირებულებები, საკმარისი მასალა მათი გამოცდილების, აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების სავარაუდო მეთოდებისა და საშუალებების შეფასებისათვის. ამავე დროს გარკვეულ დაზუსტებებს საჭიროებს ორივე კონკურსანტის საკონკურსო წინადადებები. კერძოდ, შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი"-სა და შპს „ქართულ-გერმანული ექსპერტიზის ბიურო"-ს ერთობლივად წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებაში საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ვადა მოცემულია 45 კალენდარული დღე, ნაცვლად საკონკურსო განცხადების 22 პუნქტში მითითებული ვადისა ხელშეკრულების დადებიდან არა უგვიანეს 20 კალენდარული დღისა. ასევე, ორივე კონკურსანტის მიერ შემოთავაზებული საკონკურსო წინადადებებში არ არის მოცემული აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების სავარაუდო ღირებულება, რაც საკონკურსო განცხადების 19 პუნქტის 3) ქვეპუნქტით წარმოადგენს საკონკურსო წინადადების შეფასებისა და კონკურსანტის გამარჯვებულად გამოვლენის ერთერთ კრიტერიუმს.

ორივე კონკურსანტის მიერ შემოთავაზებულ საკონკურსო წინადადებაში მეტნაკლებად ჩამოყალიბებულია სასახლის და მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის, შენობის მზიდი კარკასის კონსტრუქციების ტექნიკური კვლევის, შენობის „C" კორპუსის ცენტრალური ნაწილის სივრცითი მოდელის გაანგარიშებისა და აღდგენა-გაძლიერების კონცეფციები, რომლებიც ზემოთაღნიშნული საკითხების დაზუსტების შემდეგ თავისი შინაარსითა და შემადგენლობით მოვა შესაბამისობაში საკონკურსო განცხადების მოთხოვნებთან და საკონკურსო კომისიას შესაძლებლობას მისცემს მოახდინოს საკონკურსო წინადადებების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა.

საქართველოს პარლამენტის აპარატის
სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის
სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისა და
საინჟინრო უზრუნველყოფის განყოფილების
უფროსი — ვლადიმერ ხუციშვილი

ამავე განყოფილების მთავარი სპეციალისტი — თეიმურაზ ცანავა